2013 წლის 19 ნოემბერი

აღმასრულებელი საბჭოს სხდომის

ოქმი

19 ნოემბერი, 2013 წ

ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" მისამართი:

ქ.თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ 36.

სხდომის დაწყების დრო 18:00

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: ზაზა ხატიაშვილი (თავმჯდომარე), იმედა დვალიძე, ნოდარ ფეიქრიშვილი, ზვიად კორძაძე, გოჩა სვანიძე, ბესო აბაშიძე ცისმარი ონიანი.

დღის წესრიგი:

1. ასოციაციაში გაწევრიანება
2. ადვოკატების მიერ ასოციაციის ლოგოს გამოყენების შესახებ საკითხი;
3. საადვოკატო გამოძიების სამსახურის მმართველის მამუკა მდინარაძის წერილის შესახებ მსჯელობა ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატების სიის და საკონტაქტო ინფორმაციის მიწოდების შესახებ;
4. ასოციაციის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;
5. მ/წ დეკემბერში დაგეგმილი ასოციაციის საერთო კრების თარიღის, რეგლამენტის და კრების დღის წესრიგის საკითხების განსაზღვრა;
6. აკრედიტაციის მინიჭების შესახებ მსჯელობა
7. ეთიკის კომისიის თავმჯდომარის განცხადება ეთიკის კომისიის იურისტებისთვის სახელფასო განაკვეთის გაზრდის შესახებ

დღის წესრიგის აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობის შედეგად, საბჭომ მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა:

1. საქართველოს კანონის "ადვოკატთა შესახებ" მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარმოდგენილი ყველა გასაწევრიანებელ პირთა განცხადება. ასევე, დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე ხელახალი გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი ყველა უფლებამოსილებაშეწყვეტილ პირთა განცხადებები ;

ა). საქართველოს კანონის "ადვოკატთა შესახებ" მე-10 მუხლის, 1 პუნქტის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას **თამარ ივანიშვილი-ოთარაშვილის, თამარ ანდრიაძის, ბიძინა ხარაზიშვილის, ნაზი მგელაძის, ნაირა შეშაბერიძის, თამილა გაბაიძის** განცხადებები ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ და ამავე კანონის, **21[2]** მუხლის, მე-4 თანახმად და მათი პირადი განცხადების საფუძველზე, გაწევრიანებისთანავე შეუჩერდეთ წევრობა;

ბ). საქართველოს კანონის "ადვოკატთა შესახებ" მე-10 მუხლის, 1 პუნქტის შესაბამისად **სოლომონ ოთარაშვილი** გაწევრიანებულ იქნას ასოციაციაში და ამავე კანონის, **21[2]**მუხლის, 1 პუნქტის, "ა ქვეპუნქტის" საფუძველზე შეუჩერდეს წევრობა;

გ). **ცირა შარაშიძის** განცხადების განხილვა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე გადაიდოს, მის მიერ დამატებითი ცნობის წარმოდგენამდე;

დ). არ დაკმაყოფილდეს **მადონა გორგოშაძის** განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების შეახებ. განცხადების ავტორს ეცნობოს გადაწყვეტილების შესახებ;

გ). **ამირან ბურდულის** განცხადება დაკმაყოფილდეს და მას აღუდგეს ასოციაციის წევრობის უფლებამოსილება მ/წ 22 ნოემბრიდან;

2. არ დაკმაყოფილდეს ადვოკატ **ვერა დობორჯგინიძის** განცხადება, ასოციაციის ლოგოს გამოყენების თაობაზე და გადაწყვეტილების შესახებ ეცნობის აღნიშნულ პირს;

ა). საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ლოგო გამოყენებულ იქნას მხოლოდ ასოციაციის მიერ;

3). არ დაკმაყოფილდეს საადვოკატო გამოძიების სამსახურის მმართველის **მამუკა მდინარაძის** წერილი ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატების სიის და საკონტაქტო ინფორმაციის მიწოდების შესახებ. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობის აღნიშნულ პირს;

ა). თავმჯდომარეობის კანდიდატებისთვის თანაბარი პირობების შექმნის მიზნით, მიღებულ იქნას გადაწყვეტილება, რომ ასოციაციის თავმჯდომარეობის მსურველმა კანდიდატმა ასოციაციას მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც მას სურს აცნობოს ადვოკატთა კორპუსს და ასოციაცია ტექნიკურად, მოკლე ტექსტური შეტყობინებების მეშვეობით უზრუნველყოფს წარმოდგენილი ინფორმაციის გავრცელებას წევრებს შორის. sms-მომსახურებისთვის საფასურის გადახდა ევალება თავმჯდომარეობის კანდიდატს. გადაწყვეტილება ეცნობოს განცხადების ავტორს;

4). ასოციაციის 2014 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულ იქნას წარმოდგენილი სახით (დანართი №1);

5). ასოციაციის საერთო კრების დღის წესრიგი და რეგლამენტი დამტკიცებულ იქნას წარმოდგენილი სახით და ასოციაციის საერთო კრების ჩატარების თარიღად დადგინდეს

მ/ წ 8 დეკემბერი (კრების ჩატარების ადგილი: საქართველოს სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი. მის: თბილისი, მელიქიშვილის ქ.№ 1);

6). მიენიჭოს აკრედიტაცია აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტის (JILEP) მიერ წარმოდგენილ თემებს: "კლიენტის კონსულტირება", "მედიაცია";

7). დაკმაყოფილდეს ეთიკის კომისიის თავმჯდომარის - ეკატერინე გასიტაშვილის განცხადება; ასოციაციის აპარატის საშტატო განრიგში დამტკიცდეს ეთიკის კომისიის მთავარი იურისტის საშტატო ერთეული და ასოციაციის 2014 წლის ბიუჯეტის ეთიკის კომისიის ნაწილში აღნიშნული შტატის სახელფასო განაკვეთი განისაზღვროს 1400 (ათას ოთხასი) ლარით, ხოლო ეთიკის კომისიის იურისტის 1250 ათას ორას ორმოცდაათი) ლარით;

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ზაზა ხატიაშვილი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე